საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად გთხოვთ, ტექნიკური აუცილებლობიდან გამომდინარე, შემჭიდროებულ ვადაში განიხილოთ და შეითანხმოთ სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ საკუთრებაში არსებული შენობის სახურავზე მოაჯირის განთავსება.

დამატებით გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ გამოცემული დადგენილების შესრულება განხორციელდება კანონით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით.

სს ენერგო-პრო ჯორჯია
ზ. ანჯაფარიძის ქ. 24, თბილისი, 0186
საქართველო ID: 205169066
ტელ: +9950322471707
info@energo-pro.ge
www.energo-pro.ge